№ 246

კვირა, 12 ნოემბერი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 246

კვირა, 12 ნოემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

საბენეფისოდ ქ-ნ ბ. ა. ავალიშვილისა

ბ-ნ კ. ყიფიანის, კ. მესხისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

**მარგარიტა გოტიე**

დრამა 5 მოქმ. დიუმა-შვილისა, თარგმანი პაატას მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

რადგან 29 ოქტომბერს არ შესდგა

## საგანგებო კრება
### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

[illegible] ლობისა გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, იგი ხელ-მეორედ დანიშნულ იქმნა 13 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1, მოხსენება გამგეობისა დასამატებელის ხარჯების გადადების შესახებ.

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი ახსლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად.

5% გირავნობის ფურცლებისა

3, არჩევანი სარევიზიო კომისიისა წევრთა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა

და 3, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(3—3)

## ტფილისი, 12 ნოემბერი.

ერთი უკეთესი ღირსებათაგანი ქართველი ტომისა იყო გატანა და თანასწორული შეწყნარება ყოველ რიგის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელნიც-კი შემოჰხიზვნიან საქართველოს. დიდებულს მაგალითს ამგვარი შეწყნარებისას წარმოგვიდგენს დიდებული სახე დავით აღმაშენებელისა, რომლისაც ამგვარი ქცევა, ცხადია, იყო ნაყოფი იმ ერის ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისა, რომელმაც ჰშობა იგი. მისთვის ერთ რიგად საყვარელნი და პატივ-საცემნი იყვნენ ყველა სარწმუნოებისა და მოდგმის ერნი მის ქვეშევრდომთა. ეს დიდებული ქცევა და ხასიათი ამ [illegible] გვირგვინისა მოჰფინეს ამბად და წერით ქვეყნიერებაზედ თვით მისთავე მტერთა და ადიდებდნენ ამგვარს მისს ადამიანურს, კაცობრიულს მოქმედებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, თუ დღეს საქართველოს ერი კიდევ არსებობს, თუ ქართველობა ამოდენა დევნასა, ტყვევნასა და მუსრვისაგან დარჩა ისევ ცოცხლად და არ აღიგავა პირისაგან ქვეყნისა, მიზეზი იყო ეს ძვირფასი ხასიათი ქართველობისა—შეწყნარება და შეთვისება უცხო მორწმუნეთა და ეროვნებათა. ძმურად, მეგობრულად, მეზობლურად მიღებულნი შემოხიზნულნი ერნი ქართველებთან თანასწორად ებრძოდნენ საქართველოს მტერთა და იცავდნენ თავისს ახალს სამშობლოს შემუსრვისა და მოსპობისაგან. ძმურად და მეგობრულად მიღებულნი, ისინი ეთვისებოდნენ ქართველს ერს და ამას მოსდევდა ის, რასაც მეცნიერება ეძახის ასსიმილიაციას ქართველთა ერთან და სხვადა-სხვა... დღეს ჩვენს განათლებულს, აწონვილი გონით საქმის დამნახველს ქართველს კაცს, ამითი, ამ ნაციონალური მაღალის თვისებით მოსწონდა თავი წინაშე მთელი ევროპისა, მთელი კაცობრიობისა. იმ დროს, როდესაც საყოველთაო გახდა თითქმის მთელს ევროპაში დევნა ნაციათა და მეტადრე ისრაელთა, ჩვენ თავმომწონედ შევყურებდით ჩვენს ხალხს, რომელიც სრულიად არ გასდევდა ამ საზოგადო ფეხის ხმას და ისევ ძველებურად, ძმურად, ამხანაგურად შესცქეროდა მასთან შემოხიზნულთ ხალხთ და მათ შორის ებრაელთაც. მაგრამ, აგერ გაისმა ხმა... ხმა სამარცხვინო, პირი, სამწუხაროდ, [illegible] -ში წყლით გამსებულია... და ამ ხმას მოჰყვა... მოჰყვა ის, რასაც ვკითხულობთ «კავკაზის» ამ წლის 298 №-ში... ქუთაისის ქართველობამ... ქუთაისის ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ (თუ ეს დასაჯერებელია!) შებღალეს ის ტრადიციული სიწმიდე ძველად მამა-პაპათაგან დაცული და შვილითი-შვილად შენახულ გადმოცემული ანდერძი... ჰჩინეს სიმძულვარე იმ ხალხისა, რომელიც ქართველი ერისაგან გაირჩევა მხოლოდ თვისის სარწმუნოებით... იმ ერისა, რომელიც სარწმუნოებაში გახდა მოძღვარი მთელი დაწინაურებული კაცობრიობისა; რომელმაც ასწავლა კაცობრიობას ერთღმერთობა, მოსცა საღმრთო სათნოების კანონები, მოსცა მოსე, სოლომონ ბრძენი, ისო სირაქი, ივდითი, ბარუხი, ერემია; მოსცა ქრისტე, მოსცა სახარება, მოსცა სპინოზა, მენდელსონი, ბერნე, ჰეინე, მარკსი, ლასალი და სხვა ათასი დიდებულნი მოძღვარნი კაცობრიობისანი... რა იყო? რა მოხდა?!—ერთს ორს ებრაელს, რომელსაც კანონი თვითვე სჯის, შეემთხვათ დანაშაული და ამ ერთი დანაშაულისათვის, რომელიც დღეში ათასობით ხდება ქრისტიანეთაგან და სრულიად რჩება ქრისტიანეთაგანვე უყურადღებოთ, აღელვა და აასია სამტროდ, შურისძიებად მთელს ებრაელებზედ მთელი ქალაქი, აღელვა მოსწავლენი... აღელვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი, მომავალი მოძღვარნი საქრისტიანო სამწყსოებისა, მომავალნი აღმსრულებელნი სახარების სიტ- [illegible] ვითარცა თავი თქვენი!“, და მიუსია, მტერს-კი არა, კარის მეზობელს, მოძმეს, საუკუნეთაგან ჩვენთან ჭირის ოფლის მღვრელს, ჩვენთანა თანაბრად ჩვენი უკუღმართი ბედის ჭირისუფალს; მიუსია, წინააღმდეგ მამა-პაპათა ანდერძისა და ჩვეულებისა, უძლურს, უიარაღოს, რიცხვით მცირეს, უმწეოს, ულონო ერს, ერს ისედაც ბედისაგან დევნილს, დევნილს თვისი ქვეყნისაგან, დევნილს თვისი სარწმუნოებისა, მაღალი ნიჭისა, ძლიერი გონებისა და გაჭირვების ატანისათვის... კითხულობ „კავკაზს“, უგდებ ნაამბობებს ყურს და გიკვირს: ნუ-თუ იმ დროს, როდესაც ჰუმანურს სწავლა-განათლებას უნდა ჩვენს გულსა და გონებაში უფრო და უფრო გაეღვიძებინა და შთაენერგა კაცთ-მოყვარეობა, კაცთა შეთვისება, კაცთათანა თანასწორობა და ძმობა,—სწორედ ამ დროს დავდექით ჩვენ «გზასა წარმართთასა» და ვუღალატეთ ჩვენს დიდებულს ტრადიციას, მამა-პაპათა საქებურს ქცევას, ძმათა გატანას... გადვუდექით ქართველთა ვაჟკაცურს ქცევას და მივესიენით უიარაღო, უპატრონო ხალხს...

ვდევნით ვის?—ებრაელთა, რომელნიც იქაც-კი იცავენ ჩვენს ენას, ჩვენს ზნე-ჩვეულებას, სადაც თვით ქართველთაც-კი დაუკარგავთ თავისი ენა, თავისი ზნე-ჩვეულება, თავისი ხასიათები?!.

სად არის სათავე ამ უცნაურისა და სამწუხარო მოვლენისა?..

სამწუხაროდ, სხვათა შორის, ზოგიერთა ნაკადულებს ამისას ვპოულობთ ჩვენს მწერლობაშიც, რომელნიც [illegible] ნ. ნიკოლაძემ...

მწერლობა, ისიც ქართული მწერლობა, მქადაგებელი ეროვნებათა მძულვარებისა, სარწმუნოებათა დევნისა!!.

ამის შემდეგ რაღა ნება გვაქვს ვთქვათ რამე, როდესაც ჩვენზედაც იხმარებენ იმავე იარაღს? რა პირითღა უნდა ვუთხრათ მჩაგრავთა და

# ფელეტონი

### ნუ მეჩვენები!..

ნუ მეჩვენები, ველარ ვუძლებ შენსა სიტურფეს,
გული მიკვნესის, სული შფოთავს, როცა შენ გხედავ;
ცრემლი მწყურია, მაგრამ თვალთა ვერ მოიცალეს,
სიტყვის თქმა მინდა,—ენა მებმის, ველარას ვბედავ...
თაყვანს-ვცემ შენსა, კდემა-მოსილს მშვენიერებას,
მიყვარს მე შენი წერწეტ ტანის ნარნარებანი,
მიყვარს თვალები, გიშრის ტბა სებრ სხივ-მოელვარე,
ხმა ტკბილის ჰანგით მოწკრიალე, ვითა ებანი.

მიყვარს მე შენი წრფელი გრძნობა და სათნოება,
სული მაღალი, გული წმიდანთ თავ-შესაფარი,
სად ბოროტების ნერგს ვერ შთარგავს ამპარტავნება,
სად ბუნების ძალს ალუგია „აღთქმის“ ტაძარი...
მიყვარხარ, მაგრამ მსურს გერიდო, ვითა სატანას,
რომ სამაცდუროდ არ ვმონებდე შენსა სახესა,
მინდა უარ-გყო, მაგრამ გული არა მნებდება,
შენშივე ჰხედავს თვით ჯოჯოხეთს და სამოთხესა!..

განდეგილი.

10 ნოემბერი.

### ილიკოს ნაამბობი.

(დასასრული *).

— ამ უკანასკნელ დროს, განაგრძო ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ილიკომ, ნუცას ქმარი ორის კვირით სხვაგან იყო წასული. ხმა გავრცელდა, რომ ვითომ მას შეუყვარდა ერთი ქვრივი და სულ იმის არშიყობაში არის გართული. ამაზედ ჩემი ტანჯვა უფრო გაძლიერდა. საწყალი ნუცა, ვფიქრობდი მე, ნუ-თუ მშვენიერი ანგელოსი უნდა შეიქმნეს ქმრის უყურადღებობისა და გარყვნილ ცხოვრების მსხვერპლად მეთქი? ახ, ნეტავი შემეძლოს ნუცა გამოვტაცო იმ მხეცს, რომელსაც ცოლისა მხოლოდ სხეული ახსოვს... მაგრამ... იმავე დროს ჩემს თავსაც ვამტყუნებდი: განა შენ-კი მიტომ არ გაუწყერი ნუცას, რომ შენს გულის-თქმის გრძნობას არ აჰყვა-მეთქი?

—„ჰო, ჰო, მართალს ამბობ“, ჩამჩყიოდა ვიღაცა ყურში... ლოგინში უიმედოდ ვტრიალებდი... ერთი ბეწო მოსვენებას არ მაძლევდნენ ამ გვარი ფიქრები. ბოლოს ამ სულიერმა დარდმა ფიზიკურად ისე დამასუსტა, რომ ხმის ამოღებაც-კი მეძნელებოდა. კარგა ხანს ძილი სრულიად არ მეკარებოდა. ბოლოს როგორც იყო ჩამეძინა.—სიზმარში ნუცა მომევლინა უმშვენიერეს არსებად, რომელიც ცელქად მეთამაშებოდა, როგორც კატა თაგვს, მეც ტკბილის ღიმილით შევსცინოდი.

— ეხლა ერთმანეთისა ვართ!—ჩამჩურჩულა ნუცამ.

— ერთმანეთისა ვართ, ერთმანეთისა, ალერსით ვუთხარი მე და დავეწაფე მისს ალის-ფერს ტუჩებს. ნუცაც ჩამეკრა... ამ ნეტარებაში ვიყავი, როდესაც შორიდგან შემომესმა: „მეგობრის მოღალატევ!“ იქით გავიხედე და ჩემი ნაცნობნი ერთად შეკრებილნი მამხილებდნენ ღალატსა. მათ წინ იდგა დათიკო, რომელიც საყვედურის თვალით მიყურებდა.

— ილიკო, მითხრა მან წყნარად, მე შენ მოგენდე, როგორც მეგობარს და რად მიღალატე?..

— მოღალატევ მეგობრისავ, მოღალატევ! შემომესმა.

— წარმოიდგინეთ ეხლა თქვენ, ყმაწვილებო, რა გენია უნდა მეგრძნო გულში?!. საშინელი ტანჯვისაგან ყელში ხრიალი დავიწყე, მინდოდა თავი გამემართლებინა, მაგრამ ენა სასაზედ მიმეკრა, ნერწყვი გამიშრა...

— „მოღალატევ“! გავიგონე კიდევ. ამ ხმაზედ საშინელმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში, მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა და დავიყვირე:

— არა ვარ მოღალატე...

„ხარ მაშ!“ ჩამძახა კიდევ ვიღამაც ყურში... ამ ჩემს კივილზედ და შფოთვაზედ ბიჭი თავს დამდგომოდა და მაღვიძებდა.

— ბატონო, ბატონო, რა ამბავია, მიბრძანეთ ექიმს დავუძახო...

მე გიჟსავით წამოვყავ ლოგინიდამ თავი და გაკვირვებით დავუწყე ბიჭს ყურება. ბიჭმა თავისი სიტყვა გაიმეორა... მივხვდი, რაშიაც იყო საქმე, მივხვდი, რომ საშინელს სიზმარში ვიყავი და გამიხარდა, რომ ეს მარტო სიზმარი იყო... ბიჭი დავითხოვე... მინდოდა მარტო მომეფიქრებინა ის, რაც სიზმრადა ვნახე.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ყმაწვილებო! მე არ აგიწერთ მას, თუ რა ფიქრებმა გამიტაცეს, თუ როგორი სისწრაფით ერთი ფიქრი სცვლიდა მეორეს, მეორე მესამეს და არ ვიცოდი, რა გადამეწყვიტა.

— ბოლო დროს ის აზრი გამომერკვია, რომ მე ნება არა მაქვს სხვას ოჯახის მყუდროება დავუშალო. ამას სინიდისი მოითხოვს. უნდა ნუცა დავარიგო, რომ დამივიწყოს სრულიად, ან არა და ჩვენ უნდა ისევ ძველი მეგობარნი ვიყვნეთ. თუმცა ეს აზრი გადავწყვიტე, მაგრამ თქმა მეძნელებოდა. მე მეშინოდა ნუცასთან შეხვედრისა, მეშინოდა, რომ მისი თვალები, მისი ალვის ხესავით შეკვერცხილი ტანი დამიბნევდა გონებას და დარიგების მაგივრად საარშიყოდ მოჰმართავდა ჩემს გულსა. მაგრამ გადავწყვიტე თავი შემეკავებინა, არ ავყოლოდი გულის პასუხს.

— ერთს დღეს საწერ სტოლთან ვიჯექი და წიგნსა ვკითხულობდი. ბიჭმა ამბავი შემომიტანა, რომ ნუცა გკითხულობსო. ამ დროს თვითონ ნუცამაც შემოაღო კარები. ბიჭი დავითხოვე.

*) იხ. „ივერია“ № 245.

მდევნელთა: „შეაჩერეთ მახვილი თქვენი! ჩვენც თქვენსავით კაცნი ვართ, ჩვენც თქვენსავით ნება გვაქვს ქვეყნად ცხოვრებისა, თავის ჩენისა, კაცთა შორის კაცად ყოფნისა“?!.

ანტ. ფურცელაძე.

# ახალი ამბავი

*** როგორც გვატყობინებენ, ამ ორი დღის წინად მოსულ ძლიერი წვიმებისა და ნიაღვრების გამო საქართველოს რკინის გზის ის ადგილები, რომლებიც წინად დააზიანა დიდმა წვიმებმა, ხელ-მეორედ გადარეცხილა და ბევრგან ახლად შეკეთებული გზა კვლავ წამხდარა. რკინის გზის მმართველობა ამ ჟამად 2,000 კაცს ამუშავებს დაზიანებულ გზებზედ და აჩქარებს რაც შეიძლება მალე გაიხსნას მიმოსვლა მატარებლებისა.

*** ბათუმიდგან სწერენ „არძაგანქსა“, რომ ოსმალეთის სომხეთიდგან მრავალი სომეხი მოდის ბათუმში; ამდღით ოსმალეთიდგან მომავალი გემები სავსენი არიან ტრაპიზონისა, ბაიბურთისა, დერჯანისა, არზრუმისა და სხვა ადგილების მცხოვრებთაგან. გადმოსახლებული სომხები აქ რომ ვერ შოულობენ სამუშაოს, ყირიმსა, სუხუმსა და შავის ზღვის პირის სხვა ადგილებში მიდიან.

*** ფილოქსერასთან ბრძოლის წესდებათა დაწვრილებით განსახილველადა და უკანასკნელ რედაქციისათვის დაარსებულა კომისია სამეურნეო სამინისტროს საბჭოს წევრის ბ-ნ ნორტიკელის [illegible] კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას სამეურნეო სამეცნიერო კომიტეტის სამი წევრი და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

*** მომავალ კვირიდგან საკვირაო სკოლა, რომელიც ამ ჟამად ალექსანდრეს ინსტიტუტის შენობაში იმყოფება, ნიკოლოზის ქუჩაზედ იქნება გადმოტანილი ნიკოლოზის სასწავლებლის შენობაში, საგინოვის სახლშიო, სწერს გაზ. «ტიფ. ლისტ».

*** სასჯულო სამინისტროს 2-ე დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. დ. ჩაპლინი, რომელიც სამინისტროსაგან იყო გამოგზავნილი, გუშინ პეტერბურგს წავიდა საქართველოს სამხედრო გზით.

*** გუშინ, საღამოს 10 საათზედ, აბასთუმნიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებელი გრაფი შერემეტევი.

*** სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგი გზათა უწყების მინისტრის განკარგულებით 10 ნოემბერს ტფილისში ჩამოვიდა. აქედგან ამავე დღეს გაემგზავრა წყალ-დიდობისაგან გაფუჭებული რკინის გზის დასათვალიერებლად. გუშინ სურამის გვირაბის დასავლეთ მხარიდგან სხვა ინჟინერებთან ერთად ფეხით ქუთაისისაკენ წავიდოდა.

*** წყალ-დიდობა რუსეთშიაც ყოფილა. პირველ ნოემბერს მდინარე ნევა გადმოსულა ნაპირებიდგან და ახლო-მახლო ქუჩები და სახლები წყლით აუვსია.

*** 9 ამ თვეს ტფილისში, საღამოს ექვს საათზედ, წვიმა მოვიდა. წვიმა ჯერ წყნარად მოდიოდა, მერე უმატა და კოკის პირულად დაუშვა. მთაწმინდისა და სოლოლაკის ქუჩაზედ დიდი ნიაღვრები მოდიოდა. ფი[illegible] იყო. მიხეილის ხიდთან ჩაშვებულმა საზომმა გვიჩვენა, რომ წყალმა ღამე ერთს საჟენზედ აიწია.

*** ს. მანავი: ჩვენსკენ ერთობ დაჟინებული წვიმებია. ათასში ერთხელ თუ რამდენიმე საათით გამოიხედავს მზე. ამისთანა ამინდმა თითქმის ხელ-ფეხი შეუკრა გლეხს. ვეღარც ვენახში უმუშავია და ვეღარც მინდორში. რაღა ეს გვინდოდა ამ ძუნწ შემოდგომაზედ.

ღვინო ჩაფი 2—3 მანეთამდე ფასობს. ამას ჯანი გავარდეს, ნეტავი რაც მოვიდა, ის მაინც ხეირიანი იყოს. წრევანდელი ღვინო თუ გაზაფხულამდე შევინახეთ, წყალს თუ გადავურევთ, თორემ ძმრათაც-კი ვეღარ გამოდგება.

ს. საგარეჯო: აქ თერთმეტს სექტემბერს სოფლის ტყეში «ვაშლიანში» ექვსი თათარი დაეცა რამდენსამე ქართველს და მათი გაძარცვა ჰსურდათ. უკანასკნელთ წინააღმდეგობა გაუწიეს. თათრებმა თოფით მოჰკლეს ერთი ქართველი საგარეჯოელი გლეხი ივანე ჩუნთიშვილი და გაიტაცეს ორი კამეჩი და ცხრა ხარი. ზოგიერთი დამნაშავენი შეიპყრო ადგილობრივმა პრისტავმა.

*** არწრუნისეულ სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩიდგან შესავალ კარებში, ღამე გავლა დიდს უსიამოვნებას აყენებს მანდილოსნებს, რადგან არ ვიცით საიდგან, თავი მოუყრიათ მთვრალ რუსის მუჟიკებს, დგანან ზემოთ ასავალ კიბესთან და ლაზღანდარობენ. ოთხშაბათს ქართულ წარმოდგენის დროს ერთი საპატიო მანდილოსანი მიდიოდა კიბეზედ; ამ დროს დაეჯახნენ რუსის მუჟიკები და დაიწყეს უზრდელი სიტყვებით ყბედობა. კარგი იქნება პოლიცია ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას.

## ქუთაისში მომ[illegible]ლობის შესახებ.

აი, რასა სწერს გაზ. „კავკაზ“-ი წარსულ თვეში ქუთაისში მომხდარ არეულობის შესახებ იმ ცნობებიდგან, რომელიც მას ოფიციალურ ქაღალდებიდგან ამოუკრებია:

„14 ოქტომბერს, საღამოთი, მოწამეთის მონასტრიდგან მოდიოდნენ სოფ. მაღლაკის მცხოვრებნი—სამი კაცი, ასე 17-დგან 19 წლისა და ოთხიც დედაკაცი; ამათ ქუთაისში ებრაელთა უბანზედ გაიარეს და შენიშნეს, რომ ერთ ადგილას შეგროვილიყვნენ ებრაელები, რომელთა შორისაც უფრო ბავშვები იყვნენ და რამდენიმე ახალგაზდა ებრაელიც. ესენი შემოჰხვეოდნენ გარს ერთს ქუთათურ გონება-შერყეულს ქალსა და დასცინოდნენ. გამვლელნი ქალს გამოესარჩლნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ქრისტიანთა და ებრაელთა შორის დაიწყო ჩხუბი და მალე ცემაც დაუწყეს ერთმანეთს. ებრაელებმა ქვა დაუშინეს იმერლებს. ერთმა იმერელთაგანმა, ლუკა კოსტავამ, ხანჯალი ამოიღო, რომ თავი როგორმე ეხსნა, მაგრამ ვერას გახდა, რადგანაც ცემას და ქვას თავი ვერ დააღწია; მაშინ კოსტავა გაიქცა და მდინარე რიონს მიჰმართა. კოსტავამ გასცურა მდინარის ტოტი და კუნძულზედ გავიდა. მაგრამ რადგანაც ებრაელები მაინც თავს არ ანებებდნენ, ქვას უშენდნენ, კოსტავამ ტანთ გაიხადა და მთავარს მდინარეში შესცურა, რომ მეორე ნაპირზედ გასულიყო; მაგრამ ამ დროს ქვა უთუოდ თავში მოჰხვდა, რის გამოც გონება დაჰკარგა და დაირჩო. მისი გვამი დღემდისაც ვერ უპოვნიათ, წყალმა წაიღო. პოლიცია მაშინვე მივიდა ამ ბოროტ-მოქმედების ადგილას, საღამოთივე შეიპყრო შვიდი უმთავრესი დამნაშავე ამ საქმეში და გამომძიებლის განკარგულებამდე პოლიციაში დააპატიმრა და დარაჯიც დაუყენა. ამ გარემოებით შეძრწუნებულმა იმერლებმა 16 ოქტომბერს დილით [illegible] რის გამოც წესიერების დასაცველად მაშინვე პოლიცია იქმნა დაყენებული უმთავრესს ადგილებში და მათ მიმშველებლად დაენიშნათ 20 ყაზახი ოფიცრითურთ, თუ რომ გარემოება მოითხოვდა მიშველებას. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს ძალა საკმაო არ იყო: ხალხის ბრბო, რომელსაც შეადგენდნენ ხელოსანნი, მეწვრიმალენი და მოწაფენი სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლისა, თან-და-თან იზრდებოდა; შუადღისას ამ ბრბოს შეუერთდა 400-დე სოფლებიდგან ჩამოსული კაცი, რომელნიც სამხედრო ბეგრის საქმის თაობაზედ იყვნენ მოწვეულნი. ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა სავაჭრო მოედნიდგან სრულიად გაკრებილიყვნენ ებრაელები, ხალხს კიდევ ურჩევდა და აშოშმინებდა, ხან-კი საჭირო პოლიციურ საშუალებათაც ხმარობდა, რომ ძალადობა არ მოეხდინათ ებრაელებზედ, თავს არ დასხმოდნენ ებრაელების სახლებსა და მაღაზიებს; ადმინისტრაციამ შემდეგ კიდევ გამოიწვია ერთი როტა ჯარის-კაცები. საღამოს 4 საათზედ ბრბო სასწვრის მოედნიდგან პოლიციის მოედნისაკენ წარემართა და სცდილობდა ებრაელთა უბანში მისულიყო, მაგრამ პოლიციამ და ჯარის-კაცებმა არ გაუშვეს. მაინც ბევრმა ეს არაფრად ჩააგდო და ფრანგთა უბნისა და რიონის მიგდებულ ქუჩის შესახვევებიდგან მოახერხეს ებრაელთა უბანში ჩასულიყვნენ ზემოთა მხრიდგან. ამათ დაუწყეს ებრაელთა სახლების შუშებს მტვრევა ქვებით. მაგრამ პოლიციის მოხელენი და ყაზახები მალე მიეშველნენ და გამოაძევეს იმერლები აქედგან. რომ ხალხი დაემშვიდებინათ და ადრევე შეეყენებინათ ბრბოს თან-და-თანობითი ზრდა და მოძრაობა, საღამოს 6 საათზედ კიდევ წაუმატეს ორი როტა ქვეითა ჯარისა, ხოლო ექვს საათზედ მიიშველეს ყველა თავისუფალი ჯარები კურინისა და ხო[illegible]პოლკებისა. ამ ჯარებით მოვიდა იქ, სადაც ხალხის ბრბო იყო შეყრილი, მე-20 ქვეითა დივიზიის უფროსი გენ. მილოვი. ახლად მოსულ ჯარების დახმარებით საღამოს 9 საათზედ ყველა მოედნები და ქუჩები გაწმინდეს, ასე რომ არავითარი წინააღმდეგობა არ დასჭირებიათ და არც იარაღი უხმარიათ; ამას-

---

— ილიკო, ვეღარ მოვითმინე და მოველ შენთან, ამ სიტყვებით მომმართა ნუცამ. ღმერთო, რა მშვენიერება იყო. ამ ორ კვირაში ფერი ცოტა შეჰკრთომოდა და თვალები ცოტა დაქანცულად გამოიყურებოდნენ. მისს ერთს დანახვაზედ ჩემი გარდაწყვეტილება სრულიად დამავიწყდა. მე მომინდა ნუცას გაჯავრება, არ ვიცი-კი რა იყო მიზეზი ამ ჩემის სულელური ნდომისა...

— ჰა, როგორა ხარ, ნუცა, შევეკითხე, მაგრამ რად მოდიოდი, შენთვის ხომ სულ ერთია ჩემი ტანჯვაც და სიკვდილიც.

— რად ამბობ, ილიკო, მაგას,— დაიწყო ყვედრებით ნუცამ. ღმერთო, ღმერთო, რა უბედური ვარ! წარმოსთქვა ნუცამ მწუხარებით... მე არც აქ შევდექი.

— იქნება იმისათვის მოხვედი, რომ უფრო დასტკბე ჩემის ტანჯვით? კაი მსხვერპლი ვარ, არა ნუცა? მივმართე ნუცას მწარე ღიმილით.

— ნუ, ნუ ამბობ მაგას, ილიკო, შენი ტანჯვა ჩემი ტანჯვაა!..

— ზედ არ გეტყობა?! გავაწყვეტინე მე, შენ რა გიჭირს; მე ვიდარდო, რომ ვკვდები...

ნუცას ცრემლები მოერია.

— ოხ, ცრემლები, ცრემლები, კარგი ფარ-ხმალია ქალების ხელში! წარმოვსთქვი მე ღიმილით. მაგრამ ვაი, იმ ღიმილს!

— ნუ, ამბობ, მაგას, ილიკო, შემომჩივლა ნუცამ ტირილით, გაგშორდები, თუ გეჯავრები.

ამ სიტყვებზედ გამოვფხიზლდი. სინიდისმა ქენჯნა დამიწყო.

— ნუცა, ნუცა, დავიწყე მე ლმობიერად, მაპატიე, მეც თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ...

— ოხ, ილიკო, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ. მითხარი როგორ მოვიქცე, მე უშენოდ ვეღარ გავძლებ—წარმოსთქვა გრძნობით ნუცამ და მხარზედ ხელი დამადო. შევკრთი, მაგრამ მომაგონდა ჩემი გარდაწყვეტილება, მოვიკრიბე ძალა, ჩამოვაღებინე ხელი მხრიდგან და სერიოზულად ვუთხარი:

— ნუცა, შენ უნდა ერთგული იყო ქმრისა, ეს შენი მოვალეობაა და მეც, გარწმუნებ, თუმცა განუსაზღვრელად მიყვარხარ, თავი უნდა შევიკავო... ნუცა გაკვირვებით მიყურებდა.

— მე, ნუცა, სიზმარი ვნახე, განვაგრძე ძალა-დატანებით, და ამ სიზმარმა დამარწმუნა, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, ან არა და ისევ ისეთ ძველ მეგობრებად დავრჩეთ, როგორც ამ ოთხი თვის წინად ვიყავით. მე აქ ვუამბე სიზმარი. ნუცა დაღონებული შემომცქეროდა...

— შენ უნდა ერთგული იყო ქმრისა და მე კიდევ მეგობრისა, რომელმაც ასეთი თანაგრძნობით და ნდობით მიმიღო თავისს სახლში. ამას სინიდისი მოითხოვს.

აქ ნუცას თვალებიდგან ნაპერწკლები წამოსცვივდა.

— რად უნდა ვიყო ერთგული ქმრისა, დაიწყო წყრომით ნუცამ, განა ის-კი ერთგულია? განა არ ვიცი, რომ ის სულ ერთის ლამაზის ქვრივის დევნაშია. ვიცი, ვიცი, ილიკო. მაგრამ მეც ქალი ვარ, მეც მწყურიან სიყვარული და ალერსი მასთან, ვინც მიყვარს...

— ეგ ხომ ღალატი იქნება, დავიწყე მე.

— ღალატი? გამაწყვეტინა ნუცამ, განა ის-კი არა მღალატობს?

— განა შენც ღალატით უნდა გადაუხადო? შევეკითხე მე. ნუცა გაჩუმდა და გაკვირვებით შემომხედა.

— ილიკო, რა გინდა? განა აღარ გიყვარვარ? თუ არ გიყვარვარ, მითხარი.

— ნუცა, კარგი შევწყვიტოთ ლაპარაკი. უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ვუთხარი მე თრთოლვით, თანაც მეშინოდა, ვაი თუ თავი ვეღარ შევიკავო მეთქი, რადგან ვგრძნობდი, რომ ნუცა ამ წუთში უფრო ძალიან მიყვარდა...

— კარგი, დავშორდეთ, წარმოსთქვა ნუცამ და ხმა აუკანკალდა.

— მეტი ღონე არ არის, დავუმატე მე, პატიოსნება მოითხოვს...

— პატიოსნება? კარგი მაშ, მშვიდობით, წარმოსთქვა ნუცამ გაჯავრებით, მშვიდობით უგულოვ! მე ვეღარც დები თვალით აღარ დაგენახვო! შენ გეჯავრები, ამას თქმა აღარ უნდა. მშვიდობით, მაგრამ იცოდე, მე შენს მეტი არავინ მიყვარს და ამ სიყვარულს საფლავში ჩავიტან... მშვიდობით, წარმოსთქვა მღელვარებით, თვალებზედ ხელი მიიფარა და ჩქარის ნაბიჯით გავიდა გარედ.

ეს იყო საღამოთი... ნუცას სიტყვებმა ენა მუცელში ჩამიგდო... ხმა ვეღარ ამოვიღე... აქ ილიკო შეჩერდა.

— შემდეგ, განაგრძო, მე დავუფიქრდი ნუცას ნალაპარაკევს, უფრო-კი მისი სიტყვების ბოლო მომაგონდა, მისი თვალების, სახის გამომეტყველება და ერთმა აზრმა გამირბინა თავში, რომელმაც გულში საშინელი ტანჯვა მაგრძნობინა...

— ვაი, თუ რამე უბედურება მოახდინოს, ვაი თუ თავი მოიკლას! ამ აზრმა საშინლად ამაღელვა. მაშინვე გადავიცვი პალტო და გავეშურე ნუცას სანახავად... გზაში სულ ეს აზრი მტანჯავდა და თუმცა ავადმყოფობისაგან ძლიერ დასუსტებული ვიყავი, მაგრამ ამ შიშმა, რომ ნუცას შეუძლიან თავი მოიკლას, რომ ყოველი წუთი ძვირფასია ამ შემთხვევაში, რომ ერთი წუთით დაგვიანება, შეიძლება, გამომტაცებს ხელიდგან საყვარელს არსებას, ფრთები შემასხა და მეც არ ვიცოდი, როგორ მივირბინე ნუცას სახლთან. ნუცა შინ არ დამხვდა... წაველ საძებნელად, მოვიარე თითქმის ყოველი კუთხე, საცა-კი ოდესმე ვყოფილიყავით, მაგრამ ჩემი სირბილი სულ ამაო გამოდგა. ცა-კი საშინლად მოიღრუბლა, ჩამობნელდა, ასე რომ ორს ნაბიჯზედ კაცს ვერ დაინახავდი. მაგრამ მე მაინც დავრბოდი აქეთ-იქით, ვათვალიერებდი ნუცას, ყოველს მიმავალს თვალებში შევსცქეროდი, მაგრამ არა, ნუცა არსად იყო. წარმოიდგინეთ, ახლა რა ტანჯვაში უნდა ვყოფილიყავი. აგერ ერთს სახლში საათმა თორმეტი დაჰკრა. მე-კი სახლიდგან შვიდ საათზედ გამოვედი... მთელი ხუთი საათი ვირბინე, მაგრამ ვერ ვიპოვე ნუცა... სული ყელში მებჯინებოდა, ჩემს თავს ვლანძღავდი, ვამტყუნებდი... ღმერთო, ღმერთო, ნუ თუ მე უნდა გავხდე ნუცას სიკვდილის მიზეზი, ვდუღუნებდი მალ-მალ

თან წინადვე გააფრთხილეს და შეუძლებელ-ჰქმნეს ქალაქის ზოგიერთა ადგილებში ებრაელთა დუქნები დაემტვრიათ. მთელს ღამეს წესიერების დასაცველად ქუჩებში დასტოვეს ორი როტა ჯარის კაცნი და 12 ყაზახი. 16 ოქტომბერს ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. 17 ოქტომბერს, დილით, იმერლებმა ხელახლად იწყეს ებრაელთა უბნის მახლობლად შეკრება. ამის გამო კვლავ მოიწვიეს ქუთაისის გარნიზონის ყველა თავისუფალი ჯარები და იქ მყოფი სათავდარიგო ჯარის-კაცნი.

მოედანზედ რომ მოკლულის, ლუკა კოსტავას, ნათესავები და სოფლელები გამოსჩნდნენ, მოძრაობამ უფრო იმატახალხის ბრბო სცდილობდა ებრაელთა უბანში შესულიყო, ისროდა ქვებს, მაგრამ ქვები პოლიციელებსა და ჯარის-კაცთ ჰხვდებოდა. ხალხი ეხლაც აღარ გაუშვეს.

„ენერგიულმა და თავდაჭერილმა ჯარების მოქმედებამ კურინისა და ფოთის ქვეითა ჯარებისა და ხოპერის ყაზახთა პოლკების სარდლების ხელმძღვანელობით და აგრეთვე ქუთაისის გუბერნატორის რჩევამა და რამდენისამე დამნაშავ დაპატიმრებამ ებრაელთაგან იმოქმედა ხალხის ბრბოზედ და ქუჩები და მოედნები მალე სრულიად იქმნენ გაწმენდილნი ხალხისაგან. ხალხის ებრაელთა უბნიდგან უკან დაწევის დროს მცირედ იქმნენ დაშავებულნი ბრბოდგან ნასროლი ქვით კურინის ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკი შპაკოვსკი, რომელსაც ფეხში მოჰხვდა ქვა, იმავე პოლკის პოდპორუჩიკი ბარუტინი—თავში და მარჯვენა გვერდში იქმნა ოდნავ დაშავებული, 6 ჯარის-კაცი კურ. პოლკისა, 3 ჯარის-კაცი ფოთის პოლკისა, რომელნიც ოდნავ დაშავდნენ და 7 ყაზახი ხოპერის ყაზახთა პოლკისა აგრეთვე ცოტათი დაშავდნენ. ამათთან ერთად მცირედ დაშავდა 4 პოლიციის მოხელე და რამდენიმე ქუჩის მცველი-პოლიციელი. ხალხიდგან ზოგიერთები ყაზახთა ცხენებმა გადალახეს და გალახულნი იქმნენ თოფის კონდახითა და მათრახით. აქ შეკრებილი იმერლები ყველა თითქმის უიარაღონი იყვნენ; მხოლოდ ზოგიერთთ ჰქონდათ ხანჯლები და დააპირებდნენ თუ არა ხოლმე ხმარებას, მაშინვე ართმევდნენ. ხალხის მხრივ მხოლოდ ერთხელ გავარდა რევოლვერი, რომელმაც არავინ არ აზარალა; ჯარების მხრივ სამჯერ ისროლეს თოფი ჰაერში, რომ ხალხი შეეშინებინათ, როდესაც მეტად აღელვებულნი იწევდნენ წინ. არეულობის დროს ისინი, ვინც მეტად ჰინჰყლიანობდნენ, არ შეუპყრიათ მაშინვე, რომ ამითი უარესი სისხლის ღვრა არ გამოეწვიათ; მათ მხოლოდ ინიშნავდნენ და შემდეგ იქმნენ მიწვეულნი სასამართლოს წინაშე პასუხის საგებლად. რომ ბოლო მოჰღებოდა ამ დაუსრულებელს არეულობას და მღელვარებას, გუბერნატორი ურჩევდა ხალხისავე წარმომადგენელთ — თავად-აზნაურთა, ვაჭართა, ხელოსანთა და სასწავლებლების უფროსთა პირით, დამშვიდებულიყვნენ. ასეთმა ჩაგონებამ გუბერნატორისა და მის-მიერ ამორჩეულ პირთა და აგრეთვე მუქარამ ადმინისტრაციის მხრივ, რომ ვინც არ დამშვიდდება დაისჯება და მცირეოდენის არეულობისა გამოც-კი დუქნები და მაღაზიები დაგეკეტებათო,—სწორედ კარგად იმოქმედა მღელვარე ხალხზედ და შემდეგს დღეებში წესიერება და მყუდროება არაფერს დაურღვევია. მშვიდობიანობასა და წესიერებას დღემდის ადმინისტრაცია თვალს ადევნებს, არაფრით იქმნას დარღვეული და ებრაელებიც ნელ-ნელა გამოდიან სახლებიდგან და იწყებენ ვაჭრობას.

## პასუხად „პატარა შენიშვნისა“ ივ. ბ—ლისა.

24 ოქტომბრის „ივერიის“ №-ში წაიკითხავთ, რომ დეპუტაციათა სიაში თუშებიც ჩაწერილნი არიან... სიას ჰკითხულობდა ბ. გუნია, მას თანაშემწედა ჰყავდა ბ. ალაძე და არც ერთი დეპუტაცია მათ არ დარჩენიათ, რომ მათი სახელი არ ეთქვათ ჩემთვის და მე ხმა მაღლა არ მომეპატიჟოს იგი სცენაზე გამოსასვლელად და იუბილარის მისალოცავად...

თუშებიც იყვნენ გამოწვეულნი, მაგრამ მათი დეპუტაცია არ გამოჩნდა და ჩვენ იძულებულნი ვიყავით სხვა გამოგვეწვია. ეს გარემოება, რომ გამოწვეულნი იყვნენ თუშებიც და მათგან არავინ გამოვიდა სცენაზე, კარგად იციან ბბ. გ. წერეთელმა, ვ. გუნიამ, ილ. ალაძემ და ბ. ჭეშმარიტოვმა. მაშასადამე, ყოველივე თქვენი საყვედური ამ გარემოების შესახებ და აფერადებული ეროვნული გულის-ტკივილი მეტია!..

მიუხედავად ამისა, რომ კიდევაც არ გამოგვეხმო თუშთა დეპუტაცია, მაშინაც არ იქნებოდა ეს სასაყვედურო, არამედ მხოლოდ სამწუხარო, რადგანაც განზრახვით და განგებ ამას არავინ მოიმოქმედებდა, არამედ შემთხვევით შეიძლებოდა მომხდარიყო... რაიცა შეეხება მას, რომ თუშები ვახშმად არ იყვნენ მიწვეულნი და თეატრში გალერეაზე მოექცნენ,—ამის პასუხად მოგვიხსენებია, რომ არც ერთი დეპუტაცია ვახშმად არ ყოფილა მიწვეული და არც თეატრის ბილეთები მიუღია: თვითოეული მათგანი ეცადა თვით მოეპოებია ალაგი ერთგანაც და მეორედგანაც... გარდა ამისა იმდღევანდელი წარმოდგენა, ადგილების გასყიდვა, მიჩენა და სხვა დრამატიულ კომიტეტს ჰქონდა გარდაცემული გამგე კომიტეტისაგან.

ხალხი გატაცებული მოსალოდნელის ეროვნულის დღესასწაულით არასა ჰზოგავდა, რომ დღესასწაულს დილითაც და საღამოთიც დასწრებოდა. უარის თქმა არ შეიძლებოდა. ყოველს ქართველს ჰქონდა თანასწორი უფლება დასწრებოდა და მონაწილეობა მიეღო ამ დღესასწაულში... ამისათვის თეატრის ბილეთები თითქმის ოთხის დღის წინ გაიყიდა ყველა. არც არავინ ის იცოდა, თუ თუშები მაინც და მაინც მოვიდოდნენ, თუ არა რაოდენი კაცი იქნებოდა და რა ადგილების დაჭერას ინებებდნენ?..

და ბოლოს ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ თუშები გულ-დაწყვეტილნი დარჩენილან, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მაგაში არც გამგე კომიტეტს საერთოდ და არც თქვენს უმორჩილესს მონას, კერძოდ, ბრალი არა აქვთ.

გრ. აბაშიძე.

## ცნობანი შესახებ საფილოქსერო დასების მოქმედებისა კავკასიაში 1895 წ. სექტემბერში.

ქუთაისის საფილოქსერო დასმა შორაპნის მაზრის ს. წიფაში გასინჯა 9,507 ვაზი 1,490 ოთხ-კუთხ საჟენზედ. აღმოაჩინეს ფილოქსერა ქეთო ბაქაძეს ვენახში ხუთ ძირზედ.

რაჭისა და ლეჩხუმის საფილოქსერო დასმა გასინჯა 1) ლეჩხუმის მაზრის ს. დერჩში ვენახი 0,19 დესეტინა, 2) 5—100% 175 ვენახში 67 დესეტინაზე, ს. ცახში, გოგოლეთში, თხმორში, ზე-გვერდიაში და ქვე-გვერდიაში, 3) შიგა და შიგ გასინჯეს 112 ვენახი 33,8 დესეტინაზედ სოფ. დერჩის მახლობელ ადგილებში, ოკრიბის მხრივ, სახელდობრ ქვემო-ონჭეიში, ზემო-ონჭეიში, დღორში და მალიეთში. ამ გასინჯვის დროს ფილოქსერა აღმოაჩინეს ს. დგნორისში ლაზარე კახიძის ვენახში ხუთი ვაზის ძირზედ.

ღვინის მოსავალი იმ ადგილებში, სადაც საფილოქსერო დასები მოქმედებდნენ, ცუდი იყო. ზოგიერთს ადგილას საშუალო მოსავალიც-კი არ მოვიდა, რადგანაც ვაზს მილდიუ და სოკოს ავადმყოფობა გაუჩნდა.

სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასმა—1) ს. ალში გასინჯა 11 ვენახი, 2) გამოიკვლია 5% 367 ვენახისა 132 დესეტ., 19 სოფელში გასინჯა 67,125 ვაზი; 3) შიგა და შიგ გასინჯა 271 ვენახი 69 დესეტ., 22 სოფელში. ფილოქსერა აღმოუჩნდა ს. ალში 13 ვენახს 81 ვაზის ძირზედ, ს. კინზაიში ორ ვენახში 18 ვაზის ძირზედ, ს. დუმაცხოში ერთს ვენახში ექვს ვაზის ძირზედ, ს. ოძისში სამს ვენახში 66 ვაზის ძირზედ, ს. ცაბლონში ორ ვენახში 24 ვაზზედ და სოფელ ცივწყაროს ორ ვენახში—ერთს მათგანში 6 ვაზზედ და მეორეში 2,000 ოთხკუთხი საჟენი ვენახი თითქმის ნახევარი სულ ფილოქსერიანია. წინად და ეხლანდელ გასინჯვის დროს აღმოჩენილი ფილოქსერა გორის მაზრის დასავლეთ მხარეში, როგორც ემჩნევა, ახლად არის გაჩენილი. ზოგან თავად გადმოსული (ფრთიანი) ზოგან გადმოტანილს მცენარეებს გადმოჰყოლია ქუთაისის გუბერნიიდამ.

ტფილისის საფილოქსერო დასმა შიგა და შიგ გასინჯა ვენახები ტფილისისა და ბორჩალოს მაზრაში. თითოეულად გასინჯა 5% ვაზისა გორის მაზრის საეჭვო ადგილებში. ტფილისში და ს. საგარეჯოში შიგა და შიგ გასინჯა 715 ვენახი $169\frac{3}{4}$ დესეტ. ხუთ ადგილას ბორჩალოს მაზრაში ასევე გასინჯეს 657 ვენახი 153 დეს. გამოიკვლიეს 5% 19 ვენახში 6 დესეტ. გორის მაზრის ს. ძევერაში, შერთულში, ტყვიავში ფილოქსერა ამ ადგილებში არსად არ აღმოჩნდა. ამის გარდა დასმა დაათვალიერა 543 ვენახი 164 დესეტ. სოფ. ტევარში, შერთულში, სათემოში, ტყვიავში, მარანაში, ქიწნისში და კარალეთში. ეს სოფლები მდებარეობენ ცხინვალის გზის ახლომახლო.

ყურძენი სექტემბრის გასულს მოკრიფეს. ტფილისის მაზრაში ჩაფი ღვინო ($1\frac{1}{2}$ ვედრო) 2—3 მანეთამდე ღირს.

კახეთის საფილოქსერო დასმა გასინჯა ს. ახმეტაში და ს. ქვემო-ხოდაშენში 10% ვენახებისა. ეს ვენახები უკეთებიათ მებაღეებს, რომელნიც საეჭვო ფილოქსერის ადგილებიდგან მოსულან. ს. ახმეტაში გაუსინჯავთ ორი ვენახი $5\frac{1}{2}$ დეს., ს. ქვემო-ხოდაშენში 8 ვენახი 24

---

და თან დავრბოდი აქეთ-იქით... დავიღალე... წინად თუ სულიერმა დარდმა და შიშმა ფიზიკური ძალა ერთი ორად მომიმატეს, ახლა ფიზიკურმა სისუსტემ შემაყენა; მუხლები მიკანკალებდნენ და მეკვეცებოდნენ... შეველ, იქვე ახლო, სადაც პირველად ეს სისუსტე ვიგრძენი, ერთს სარდაფში... აქ ჩემი ნაცნობი სომეხი გამოდგა. ჩემმა გამომეტყველებამ გააკვირვა სომეხი, მაგრამ მე დაღალულობას მივაწერე და ისიც კმაყოფილი დარჩა ამ მიზეზით. მოვითხოვე საჭმელი და ღვინო, თუმცა ბურის ჭამა სრულიად არ შემეძლო. რამდენიმე ჭიქა ღვინომ რაღაცა გამოუკვეველი სიამოვნება მაგრძნობინა და ამ სასიამოვნო გრძნობამ კიდევ რამდენიმე ჭიქა დამალევინა, იმ იმედით, რომ ეს სიამოვნება უფრო გაძლიერდებოდა. წარმოიდგინეთ ორი ბოთლი დავლიე. აზრები მერეოდნენ თავში, ერთმანეთში იხლართებოდნენ ამ ორი ბოთლის შემდეგ და ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ მეორეს მესამეც მოჰყვა. შემდეგ აღარ მახსოვს, რა იყო. მხოლოდ მესამე ბოთლის შემდეგ მე გამოველ სრდაფიდგან და სახლამდის როგორ მივედი, ამის მოგონება არ შემიძლიან დღესაც.

მეორე დღეს ჩემი ოთახის კარების რახუნი შემომესმა... თვალები გავახილე და იმ დანახვაზედ რაც მე დავინახე, კინაღამ ჰკვაზედ შევიშალე... ყმაწვილებო, არ გამკიცხოთ, იმიტომ რომ დღესაც არ ვიცი, როგორ მოხდა... ჩემს გვერდზედ... კოჯორში ცნობილი... აქ ილიკო შესდგა...

— რა, ცნობილი? შევეკითხეთ მოუთმენლად...

— ცნობილი მეძავი ქალი მეწვა გვერდს! გაკვირვებით დავუწყე ყურება! მას უდარდელად ეძინა ჩემს სარეცელზედ... კარების რახუნი გამეორდა. მე გადავიცვი ტანისამოსი და გავაღე კარები და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება... ნუცა იდგა კარების წინ და ხელში რაღაც ქაღალდს ატრიალებდა... მე არ ვიცოდი მაშინ სიზმარში ვიყავ, თუ ცხადად იყო ეს სუყველაფერი.

— რა გაკვირვებული მიყურებ, ილიკო, ველარა მცნობ? შემომეკითხა ნუცა და ხელი გამომიწოდა.

— ნუცა, ნუცა, წადი, მერე, ვიძახოდი მე... მეშინოდა ნუცას არ დაენახა ის, ვინც ჩემს ოთახში იწვა; წადი, ჯერ ადრეა, მერე მოდი.

— რატომ, ილიკო, შემომეკითხა, გაკვირვებით ნუცა. თერთმეტი საათია, ადრე-კი არ გეგონოს?

— არა, არა, მერე, ვბუტბუტებდი კარებიდგან ფეხს არ ვიცვლიდი... მეშინოდა, არ გამოღვიძებოდა და კარები არ გაეღო, ან ნუცას არ გაეღო, როგორც სხომის.

— აი, ილიკო, მითხრა ნუცამ, დღეს ტელეგრამმა მივიღე.

— მე ჩამოვართვი ტელეგრამმა...

„დათიკო დუელში მოჰკლეს. მოჰხედეთ...“

ამ სიტყვების წაკითხვა და ჩემი დაბარბაცება ერთი იყო... მე ველარაფერი ვერ დავინახე, რა მოხდა შემდეგ... მაგრამ ეხლა გამოვირკვიე. ჩემის დაბარბაცებით კარები გაიღო ნუცამ დაინახა ჩემს სარეცელზედ მეძავი დედაკაცი, ყვედრებით შემომანათა თვალები და იქვე წაიქცა. თავი კიბის სურაიას დაჰკრა... მე ავიღე ნუცა ხელში და შევიტანე ოთახში...

— ყმაწვილებო, როგორ აგიწეროთ ჩემი მწუხარება, როგორ გამოგიხატოთ ის ზნეობრივი ტანჯვა, რასაც ამ დროს ვგრძნობდი... არა, არა, ამას კაცი სიტყვით ვერ გამოსთქვამს... მე დაშტერებით დავუწყე ყურება ნუცას თვალებს, ტუჩებს, გულზედ ხელი დავადე და დავრწმუნდი, რომ ნუცა ამ სოფელს აღარ ეკუთვნის... ჩემ და უნებურად თვალებიდგან ცრემლის ნაკადული გადმომსკდა...

დავუწყე ნუცას ტუჩებში, თვალებში კოცნა, ვეძახოდი, ჩავჩურჩულებდი,— ნუცა, ნუცა, ერთი კიდევ შემომხედე, მაგრამ ნუცას სახე ყვედრების მეტს არაფერს არ მეუბნებოდა... ამ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ხმა შემომესმა. ეგ რა ამბავია, მეორე მოგივიდა? მე მივიხედე. ჩემს ღამის სტუმარს თურმე გამოჰღვიძებოდა, თვალებს იფშვნეტავდა და თან მიყურებდა...

— ადე, წადი, აქედგან, ვუთხარი მე მკაცრად... და ისევ ჩემს ნუცას დავუწყე ყურება. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა ამ ყურებაში, მხოლოდ ვიგრძენი ჩემს მხარზედ ხელი. მივიხედე და მეძავი დედაკაცი ცოტა გაფითრებული თავს მედგა...

— არ გითხარი, წადი-მეთქი, გასწი, გასწი... დავუყვირე და სული ყელში მომებჯინა...

— ყმაწვილო, რას ჯავრობ, შენ არ წამომიყვანე წუხელ ქუჩიდგან? ფული მომეცი, მიპასუხა დედაკაცმა და თან ნუცას გატეხილს საფეთქელს დააცქერდა... საზიზღრობაა! აქ ადამიანი კვდება და ის-კი ფულსა მთხოვს; მაგრამ რა ქნას, ისიც იმითი ცხოვრობს! რა დარდი აქვს, რომ ჩემი ნუცა მოკვდა. მისთვის სულ ერთია. მე გაჯავრებულმა ფული გადავუგდე და დავაცქერდი კვლავ ნუცას. ვუყურებდი და ამ ყურებაში ვიგონებდი ჩვენს პირველს გაცნობას, დაახლოვებას, სიყვარულს.. ღმერთო, ღმერთო, ვამბობდი თვალცრემლიანი, ნუ-თუ აღარა დამრჩარა? განა კიდევ მეცხოვრება ამ ქვეყნად? მე განვიზრახე თავის მოკვლა, მაგრამ მომაგონდა, რომ მიყვარს ნუცას გარდა კიდევ სამშობლო, რომელსაც უნდა ვემსახურო და აი, ყმაწვილებო, მას აქეთ მე აღარ გამიხარია, აღარ მიგრძვნია ის, რასაც სიყვარულს ეძახიან და რომლისთვისაც ამდენ დროს ჰკარგავენ ახალგაზდანი. და ისიც ერთის სიყვარულით ხომ არა კმაყოფილდებიან, არა მათ უნდათ, რაც ლამაზი ქალია, მათ ეკუთვნოდეთ.

ჩვენ გაჩუმებულნი ვიყავით.

— აი, ხვალ თუ კარგი, დარია, წავალ და ნუცას საფლავს ყვავილებით შევამკობ. მე მისი მადლობელი ვარ. ბევრჯელ შრომა მომწყენია, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდნილვარ, მაგრამ ნუცას აჩრდილს ჩემთვის ძალა მოუცია, ენერგია მოუმატებია და ახალ შრომისთვის განვუმზადებივარ..

ვლ. მცხეთელი.

ქ. სტავროპოლი 95 წელსა.

დეს. ფილოქსერა არსად არ აღმოჩნდა. ამ წლის მოსავალი ძლივს-ძლივობით აღემატა ჩვეულებრივს მოსავალს 5 პროცენტით. ვენახები დიდად დაზარალა სოკოს ავადმყოფობამ და მილდიუმ („კავკაზ“).

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— რ. ფონ კაუფმანის წიგნში, რომელსაც ჰქვიან „Государственные и мѣстные расходы европейскихъ государствъ по ихъ назначенію“, მოყვანილია რიცხვი იმისი, თუ რომელი სახელმწიფო რაზედ რამოდენას ჰხარჯავს. აქედამ ერთს რუსულ ჟურნალს („Р. Б.“) ამოუკრებია ცნობანი შესახებ პრუსიისა, ავსტრიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა და რუსეთისა და გამოდის, რომ თვითეული ამ დიდ სახელმწიფოთაგანი აი რაზედ რამოდენას ჰხარჯვენ, მთელის ხარჯის ასის თავზედ რომ ვიანგარიშოთ:

| | პრუსია | ავსტრია | იტალია | საფრანგეთი | ინგლისი | რუსეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1) საზოგადო სამმართველოზე . . . . . . | 6,90 | 9,28 | 6,87 | 4,65 | 3,21 | 13,36 |
| 2) საშინაო მშვიდობიანობისა, ქვეყ-მოქ-მედებისა და სხვა . . . . . | 8,44 | 7,65 | 8,91 | 5,37 | 15,32 | 6,56 |
| 3) სარწმუნოებაზე . . . . . . | 0,98 | 0,91 | — | 1,45 | — | 1,34 |
| 4) განათლებაზე და მეცნიერებისათვის | 8,34 | 6,92 | 5,13 | 7,01 | 7,62 | 3,99 |
| 5) გზების კეთებაზე . . . . . . | 4,35 | 4,32 | 9,82 | 8,42 | 5,06 | 2,95 |
| 6) სახელმწიფო ვალებზე . . . . . | 10,90 | 18,31 | 31,09 | 23,34 | 17,98 | 21,37 |
| 7) სამხედროსა და ჯარებზე . . . . | 14,82 | 13,59 | 16,16 | 21,22 | 20,24 | 31,58 |

— „ხარკოვის ვედომოსტებს“ გაუგონიათ, რომ ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ ფილოლოგიური ფაკულტეტი მალე განიხილავს საყურადღებო საგანს: მისცენ თუ არა ნება ერთ ქალს დაიცვას თავისი დისერტაცია სწავლულის ხარისხის მიღებისათვის (ფილოსოფიის საგნიდგან).

ვგონებთ, ეს გარემოება პირველია ხარკოვის უნივერსიტეტის პრაქტიკაშიო,—ამბობს გაზეთი.

— ეხლახანს პეტერბურგის უნივერსიტეტში დანიშნული იყო პირველ-შესავალი ლექცია ჩვენის თანამემამულის პროფესორ-აკადემიკოსის თ. ი. რ. თარხნიშვილისა. პატარა აუდიტორიას მოაწყდა დილიდამვე დიდ-ძალი სტუდენტობა, ასე რომ ოთახმა ვეღარ დაიტივა ყველანი, ვინც-კი მოსულიყო ლექციის მოსასმენლად. აუდიტორიის ახლო კორრიდორები სულ გატენილი იყო ისე, რომ ლექციის დასაწყისის დროს გზა აღარ იყო კაცს გაევლო და შესულიყო აუდიტორიაში. ამ მიზეზის გამო ლექცია თ. თარხნიშვილისა სხვა დროსათვის გადადებულ იქმნა, მინამ უფრო ვრცელი აუდიტორია მომზადდება. (ნ. ვ.)

— აი როგორ უნდა თურმე ნესტი გამოაცალონ კედლებს, როცა შენობას ნესტი შეჰპარვია. ყველაზე უწინარეს უნდა კედლიდამ ჩამოფხიკონ ნალესი, ბათქაშია, თუ რამ სხვა. კედლები მას შემდეგ უნდა დაიკენჭნონ ძალიან ხშირად და დაკენჭნილი ადგილები ამოავსონ ცხელის ასფალტითა ასე, რომ ერთი ხაზიც ნაკენჭნისა არ დარჩეს ამოუვსებლად და თანასწორად იყოს ამოვსებული. [illegible] და ზედ გაჯი, თუ ბათქაში ისე ვერ დაიჭერს თავს, როგორც ქვიშისაგან გახორხიანებული კედელი. რაკი ცხელს ასფალტს ქვიშას მოაყრიან; კედელს სტოვებენ ხელ-უხლებლად იმ დრომდე, ვიდრე ასფალტი გაშრება სრულიად; მას მერმედ გალესვენ ხოლმე იმოდენად სქლად, რომ ნახევარ დიუმზე მეტი იყოს. ესე სქლად გალესილი კედელი ასფალტის სუნს აღარ გამოსცემსო და ნესტსაც აღარ შემოუშვებსო შენობაში. (ნ. ვ.).

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** პროვინციებიდგან იუწყებიან, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში არიან, რაიცა ასაწერადაც ძნელიაო. უკანასკნელ არეულობის შემდეგ ხალხი უსახლ-კაროდ და ულუკმა პუროდ დაიარებაო. ამბობენ, რომ გაჭირვება და შიმშილი მომავალ ზამთარს მეტად საშიშს მდგომარეობაში ჩააგდებს ხალხსაო.

—

ალექსანდრეტიდგან იუწყებიან, რომ ქალაქის მიდამოებში ჯარის-კაცებმა ამოჟლიტეს ქრისტიანები. ევროპიელნი დაშინებულნი არიან და მოელიან მაჰმადიანთაგან თავს-დასხმას.

—

ბეირუთის მდგომარეობა საშიშარია. შესაძლოა, შეტაკება მოხდეს დრუზთა, ქურთთა და ჩერქეზთა შორის. დამასკში ხალხი ძალიან დაშინებულია. მაჰმადიანები აღელვებულნი არიან ქრისტიანთა და მთავრობის წინააღმდეგ. ამ მთავრობას ავტორიტეტი აკლია; ამასთან იგი სხვა-და-სხვა ნაირ ბრძანებას ლებულობს. რედიფები უკმაყოფილონი არიან. მოელიან საფრანგეთის ესკადრას.

—

**საფრანგეთი.** ამას წინად ჩვენ გაზეთში გვქონდა მოყვანილი ამბავი, რომ ერთმა უცნობმა ქალმა როშფორს გადასცა 100,000 ფრ. კარმოს მუშათათვისო. გაზეთები სცდილობენ გამოიცნონ იმ ქალის ვინაობა: ზოგნი ასახელებენ ერთ ქვრივს, რომლის ქმარი კომმუნის დროს დაიღუპა, ხან ჰერცოგინია დ' იუზეს, რომელსაც ეს ფული შეუწირავს ლუიზა მიშელის ჩაგონებით და რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება. ვინ იცის, რამდენად ეს უკანასკნელი მოსაზრება მართალია, მაგრამ, ალბად, ამ ხმას მიეწერება ის, რომ ლუიზა მიშელს პარიზში ხალხი დიდის ამბით მიეგება. 5,000 მეტი კაცი, რომელთა შორის უმეტესობა მუშები იყო, დახვდა მას ვოკზალზედ ყვირილით: „გაუმარჯოს ჩვენს ლუიზას! გაუმარჯოს ღარიბთა მეგობარს! გაუმარჯოს კეთილს ადამიანსო!“

## წვრილი ამბავი

—

138 წლის მოხუცი. პეტერბურგში ამ ჟამად 138 წლის მოხუცი ი. ფ. კუზმინი თურმე იმყოფება. კუზმინი მოსკოველი კაჭრის შვილია; დაბადებულა იგი 1757 წელს. მამას მისი 147 წლამდე უცოცხლია; კუზმინის ძმა კი ერთ ეგლოვა 135 წელი, ხოლო მეორეს 132 წ. მიუხედავად იმისა, რომ კუზმინს მათუსალას წლოვანობამდე მიუღწევია თითქმის, იგი საკმაოდ ჯან-მრთელი და ცოცხალი მოხუცია. კუზმინი მაღალი ტანისაა, ცოტა წელში მოხრილი, თმა და კბილები მთლად შერჩენია და მხოლოდ ულვაში და წვერი გასცვივნია, რასაც ამტკიცებს აქა-იქ-და დარჩენილი რამდენიმე ცალი თმა. დღემდის მისს პატარა თვალებს ელვარება არ დაუკარგავს. პატარაობისას კუზმინი გრაფ შერემეტევთან მსახურებდა მოსკოვში მეჯინიბე-მეეტლედ. 1841 წელს გრაფმა კუზმინი ციმბირში გაგზავნა თურმე, სადაც 50 წლიწადი დაჰყო კუზმინმა. ციმბირში იგი ოქროს მადნებში მსახურებდა ოქროს მძებნელად, სადაც მას ორივე ფეხზე შემოაზრა თითები: მიუხედავად ამისა 138 წ. მოხუცი ფეხით თურმე გამოემგზავრა ენისეის გუბერნიიდგან პეტერბურგში. ტომსკამდე 900 ვერსი გამოიარა ფეხით. აქ მას პოლიციმეისტერმა ტიუმენამდე მისცა საგზაო ბილეთი. ტიუმენიდამ ვერხო-ტურამდე კვლავ ფეხით გამოვლო 1,000 ვერსი. კუზმანმა ვერხო-ტურში ორი კვირით შეისვენა და შემდეგ ისევ ფეხით იარა კამიშლოვამდე (პერმის გუბერნიაშია). კუზმინს აქ კი აღარ მოუხდა ფეხით სიარული; აღმოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც რკინის გზით გაგზავნეს იგი ეკატერინბურგამდე. ეკატერინობურგიდამ ისევ ფეხით იარა და ტულაში ჩამოვიდა. აქ, გრაფის შერემეტევის მამულში, კუზმინი იცნეს გლეხებმა, შეუგროვეს ფული და კიევამდის რკინის გზით მივიდა. კიევიდამ მოსკოვამდის კვლავ ფეხით იარა. მოსკოვში კუზმინმა ჩამოითხოვა ქრისტეს გულისათვის ფული, სულ 8 მან. და რკინის გზის მატარებლით პეტერბურგს ჩავიდა. გზას მოუნდა კუზმინი ენისეის გუბერნიიდამ პეტერბურგამდე სულ 1 წელიწადი და 8 თვე. პეტერბურგში კუზმინი 7 აგვისტოს ჩავიდა; აქ იგი ავად გახდა. პირველად ალექსანდრეს საავადმყოფოში დააწვინეს თურმე, ხოლო შემდეგ გადიყვანეს პეტრე-პავლეს საავადმყოფოში. პეტერბურგში კუზმინი იმიტომ მოსულა, რომ ფულით დახმარება და ბილეთი როგორმე ეშოვნა იერუსალიმში წასასვლელად, რაიცა დიდი ხანია მისს სურვილს თურმე შეადგენს.

—

იმპერატორმა ვილჰელმმა ერთი სურათი დახატა. სურათი ალლეგორიულია და, როგორც მას აწერენ, შემდეგი მნიშვნელობა აქვს: კლდეზედ, მზის სხივების ქვეშ, სდგანან ალლეგორიული ფიგურები განათლებულ ერთა. ყველაზედ წინ სდგას საფრანგეთი. მარცხენა ხელს თვალებზედ იფარებს და ვერა გრძნობს, რომ ახლოა ხიფათი. გერმანია-კი აღჭურვილია ფარით და ხმლით და გაფაციცებით ადევნებს თვალს შიშს, რომელიც თან-და-თან ახლოვდება. რუსეთი მშვენიერ, ამაყ ქალად არის დახატული, ხელები თავისს ერთგულ საფრანგეთის მხრებზედ დაუწყვია. ამ ჯგუფის ცოტა მოშორებით სდგას ავსტრია. მას ხელები ინგლისისაკენ აქვს გაპყრობილი, რომ მოუწოდოს მას საერთო საქმეში ჩასარევად. იტალია მათ შუა დგას და გერმანიასავით მასაც [illegible] ალეგორიულ სურათის წინ სდგას მთავარ-ანგელოსი მიხეილი ცეცხლის ხმლით მარჯვენა ხელში. შიში, რომელიც თან-და-თან ახლოვდება, ბუდდის სახით არის დახატული, რომელსაც ჭფარავს ჩინეთის გველეშაპი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 10 ნოემბრის ბიულეტენი: ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული კარგად ბრძანდება; აგრეთვე კარგად არის დიდი მთავრინა ოლღა ნიკოლოოზის ასული.

უმაღლესი ბრძანება: დიდი მთავრინა ოლღა ნიკოლოოზის ასული უნდა მოინათლოს 14 ნოემბერს, იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულის დაბადებისა და მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა დაქორწინების დღეს.

**კონსტანტინეპოლი.** ადანის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება: ჩეკმესერმენის სოფელში, შაქირ-ფაშის მეცადინეობით აჯანყებულნი დამშვიდნენ.

**ლონდონი.** «სტანდარდ»-ს ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდგან, რომ 8 ნოემბერს სულთანის სასახლეში მინისტრთა საბჭოს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც განხილულ იქმნა, შემოუშვან თუ არა ბოსფორში კიდევ გემები საელჩოთათვის. ამბობენ, სულთანის სასახლეში წინააღმდეგნი არიან გემების შემოშვებისა ბოსფორში, რადგანაც შესაძლებელიაო ამ გარემოებამ აჯანყება გამოიწვიოს კონსტანტინოპოლში.

«ტაიმს»ს ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდგან, რომ ავსტრიის ელჩმა, როგორც ყველა ელჩთა შორის წლოვანობით უფროსმა, 7 ნოემბერს მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას ფირმანი, რომლით ნება უნდა მეცეს სახელმწიფოებს თითო გემი გაგზავნონ ბოსფორს სტანციონერების გაძლიერებისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ნოემბერი.

| | მყიდველობა. | გამყიდველობა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | $207^1/_2$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | $99^1/_2$ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | $97^5/_8$ |


## განცხადებანი

**მიწა საბლიძიურთ 20 ნაკვეთი.** შენობები მოთავსებულია 25 და 50 ოთხ-კუთხს საჟენზედ. თექვსმეტი მათგანი იჯარით არის მიცემული. მეიჯარადრე მოთხოვნისათანავე თავს დაანებებს, ოთხი 25,120 და 800 საჟენზედ თავისუფალია. საზამთროს მოედნის ზევით. ფასი საჟენზედ 2, 3,4—7 მან. ფული შეუძლიან ნაწილ-ნაწილ გარდაიხადოს მსყიდველმა. ამავე მიწაში არის ამტვრევი ქვა და წყარო. ჰყიდის მემკვიდრე ივანე ივანოვი, ავჭალის ქუჩა, სახლი № 50. (3—2).

## ქ. თელავს

**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთ, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით. ძირის სართულში მოთავსებულია დ[illegible] ქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორის ჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველ გალავანში. ყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—1).

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სასასყიდათ თარგმანი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა.

## „კულტურა“

ანუ

კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება.

თხზულება იულ. ლიპპერტისა.

ეს თარგმანი გამოვა სამ წიგნად და ეღირება თითო მანეთად. თუ ამ თავითვე წიგნების შემძენნი ისურვებენ ხელის მოწერას და ამ თავითვე საფასურს გარდაიხდიან—იმათ დაეთმობათ სამივე წიგნი ორ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება: ქ. ტფილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში“. ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან; ბათუმში—გერონტი კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და გორში—არსენ კალანდაძესთან.

(8—უ—7)

ახალი წიგნები
იხაჰრეთ ახლოდ:
„ჩვენს ქვეყანას“—საუცხოოთ და სასიამოვნოა.
„ჩვენს ქვეყანას“—მეტად სასიამოვნოა ხმარებას ღირს.
„ჩვენს ქვეყანას“—ავრილუნს და ლექსები მაგიურად იხმარება.
ს. ვ. ბ. საქონლის ქონიდოგის ლაბორატორიას.
პეტერბურგი, ალექსანდროვ. მოედ. 9. მოსკოვი, ვარშავა.
(7—7—5)